

შპს „ჯეომილ“

ფინანსური ანგარიშგება
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბერი

**შპს „ჯეომილ“
სარჩევი**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
განმარტებითი შენიშვნები	8
დასკვნის ბოლო გვერდი	33

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჯეომილ“-ის მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების დასკვნა

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჯეომილ“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“-ს ნაწილში აღწერილი საკითხების შესაძლო გავლენის გარდა თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით იდენტიფიცირდება კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები. მოცემული თარიღებისათვის კომპანიას არ აქვს ჩატარებული ზემოაღნიშნული აქტივების გაუფასურების ტესტირება. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე, რომელიც წარდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამისად 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით 27,358,661 და 26,586,309 ლარის ღირებულებით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

კომპანიის მიერ არ მომხდარა განახლებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების დანერგვა რომელიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან და მოქმედია შემდგომ პერიოდებზეც. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით იმის განსაზღვრა თუ რა შედეგი ექნებოდა ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების დანერგვას ფინანსურ მაჩვენებლებზე.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი ვალდებულებები აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, უფრო დეტალურად აღწერილია ჩვენი ანგარიშის ფინანსური ანგარიშგებების განყოფილებაში დასახელებით - აუდიტორის ვალდებულებები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდის (IESBA Code) ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და საქართველოში არსებულ ჩვენს აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად და აღნიშნული მოთხოვნების (და IESBA კოდის) შესაბამისად ვასრულებთ

ჩვენ ეთიკურ მოვალეობებს. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა ჩვენი მოსაზრების წარმოსადგენად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 20,662,524 ლარი, კომპანიის აკუმულირებული ზარალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 50,520,529 ლარს. ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბაღებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალკე-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISA-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიძუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და
- შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი

ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;

- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის პირობითი დასკვნა არის დავით გვეტაძე.

სს ფი-ქეი-ეფ კაიზენი
22 სექტემბერი, 2021
თბილისი, საქართველო

ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;

- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის პირობითი დასკვნა არის დავით გვეტაძე.

სს ფი-ქეი-ეფ კაიზენი
22 სექტემბერი, 2021
თბილისი, საქართველო



შპს “ჯეომილ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნები	12/31/2020	12/31/2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	27,358,661	26,586,309
არამატერიალური აქტივები		64,519	7,932
სულ გრძელვადიანი აქტივები		27,423,180	26,594,241
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	9,439,421	13,323,125
გაცემული სესხები		360,801	177,201
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	12,864,586	7,033,348
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	1,763,107	579,673
სულ მიმდინარე აქტივები		24,427,915	21,113,347
სულ აქტივები		51,851,095	47,707,588
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	3,335,784	3,335,784
სხვა რეზერვი	10	9,098,153	9,098,153
დაგროვილი ზარალი		(50,520,529)	(29,858,005)
სულ საკუთარი კაპიტალი		(38,086,592)	(17,424,068)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი მიღებული სესხები	11	86,049,943	63,261,193
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		86,049,943	63,261,193
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,663,864	149,437
საგადასახადო ვალდებულებები	12	1,733,396	1,230,542
მოკლევადიანი მიღებული სესხები	11	490,484	490,484
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,887,744	1,870,463
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		51,851,095	47,707,588

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

22 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

ხელმომწერი პირები:

თბილისი, საქართველო

4

შპს "ჯეომილ"

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნები	2020	2019
შემოსავალი	13	34,972,329	52,611,141
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(32,005,683)	(51,275,215)
სრული მოგება		2,966,647	1,335,926
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები		(689,063)	(479,993)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,421,607)	(1,304,642)
სხვა ხარჯები, წმინდა	16	23,533	(3,008,969)
საოპერაციო ზარალი		879,510	(3,457,678)
ფინანსური ხარჯები	17	(4,721,703)	(3,642,588)
მოგება/(ზარალი) საკუთროს სხვაობიდან, წმინდა	18	(16,820,332)	(3,680,101)
ზარალი დაბეგვრამდე		(20,662,524)	(10,780,367)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული ზარალი		(20,662,524)	(10,780,367)

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

22 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს "ჯეომილ"

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნები	2020	2019
შემოსავალი	13	34,972,329	52,611,141
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(32,005,683)	(51,275,215)
სრული მოგება		2,966,647	1,335,926
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები		(689,063)	(479,993)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,421,607)	(1,304,642)
სხვა ხარჯები, წმინდა	16	23,533	(3,008,969)
საოპერაციო ზარალი		879,510	(3,457,678)
ფინანსური ხარჯები	17	(4,721,703)	(3,642,588)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა	18	(16,820,332)	(3,680,101)
ზარალი დაბეგრამდე		(20,662,524)	(10,780,367)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული ზარალი		(20,662,524)	(10,780,367)

ხელმოწერი პირები:

დირექტორი



22 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს "ჯეომილ"

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	3,335,784	9,098,153	(19,077,639)	(6,643,702)
პერიოდის შედეგი	-	-	(10,780,367)	(10,780,367)
სხვა რეზერვი	-	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	3,335,784	9,098,153	(29,858,006)	(17,424,069)
პერიოდის შედეგი	-	-	(20,662,524)	(20,662,524)
სხვა რეზერვი	-	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	3,335,784	9,098,153	(50,520,530)	(38,086,593)

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

22 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს "ჯეომილ"

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	3,335,784	9,098,153	(19,077,639)	(6,643,702)
პერიოდის შედეგი	-	-	(10,780,367)	(10,780,367)
სხვა რეზერვი	-	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	3,335,784	9,098,153	(29,858,006)	(17,424,069)
პერიოდის შედეგი	-	-	(20,662,524)	(20,662,524)
სხვა რეზერვი	-	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	3,335,784	9,098,153	(50,520,530)	(38,086,593)

ხელმოწერი პირები:

დირექტორი



22 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს “ჯეომილ”

**ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერი
თანხები მოცემულია ლარში**

	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
ზარალი დაბეგვრამდე	(20,662,524)	(10,780,367)
კორექტირებები:		
ფინანსური ხარჯი, წმინდა	4,721,703	3,642,588
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(54,214)	987,227
ცვეთა და ამორტიზაცია	8,527,890	984,336
ზარალი/ (მოგება) საკურსო სხვაობიდან, წმინდა	16,820,332	3,680,101
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე	9,353,186	(1,486,115)
ცვლილება სამუშაო კაპიტალში		
მარაგების შემცირება/(ზრდა)	3,883,704	(9,499,200)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	(5,944,524)	277,920
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (ზრდა)/კლება	1,624,525	(801,509)
სხვა ვალდებულებების ზრდა	502,854	(178,339)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	9,419,745	(11,687,243)
გადახდილი პროცენტები	(315,174)	(342,628)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/ (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	9,104,571	(12,029,871)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(9,300,242)	(535,627)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(56,587)	9,691
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(9,356,829)	(525,936)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხების აღება	29,343,773	41,330,149
სესხების დაფარვა	(27,970,833)	(29,970,031)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული/ (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	1,372,941	11,360,118
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	1,120,682	(1,195,689)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	579,675	927,110
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	62,750	848,252
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	1,763,107	579,673

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

22 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს "ჯეომილ"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერი
თანხები მოცემულია ლარში

	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
ზარალი დაბეგვრამდე	(20,662,524)	(10,780,367)
კორექტირებები:		
ფინანსური ხარჯი, წმინდა	4,721,703	3,642,588
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(54,214)	987,227
ცვეთა და ამორტიზაცია	8,527,890	984,336
ზარალი/ (მოგება) საკურსო სხვაობიდან, წმინდა	16,820,332	3,680,101
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე	9,353,186	(1,486,115)
ცვლილება სამუშაო კაპიტალში		
მარაგების შემცირება/(ზრდა)	3,883,704	(9,499,200)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	(5,944,524)	277,920
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (ზრდა)/კლება	1,624,525	(801,509)
სხვა ვალდებულებების ზრდა	502,854	(178,339)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	9,419,745	(11,687,243)
გადახდილი პროცენტები	(315,174)	(342,628)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/ (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	9,104,571	(12,029,871)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(9,300,242)	(535,627)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(56,587)	9,691
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(9,356,829)	(525,936)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხების აღება	29,343,773	41,330,149
სესხების დაფარვა	(27,970,833)	(29,970,031)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული/ (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	1,372,941	11,360,118
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	1,120,682	(1,195,689)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	579,675	927,110
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	62,750	848,252
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	1,763,107	579,673

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

22 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს ჯეომილ (404870118) - შემდგომში კომპანია, დაფუძნდა 2010 წელს. კომპანიის კაპიტალის წილობრივი ფლობა წარმოდგენილია შემდეგნაირად: წილის მფლობელები

	31.12.2020	31.12.2019
გალმინგტონ ჰოლდინგს ლიმიტედ (Galmington Holdings Limited)	63.00%	63.00%
პარინ რაჯანიკანტ კაპასი, ინდოეთი (Parin Rajanikant Kapasi, Idnia)	25.00%	25.00%
სს ლგბ კომპანი	6.00%	6.00%
სს პონტო კაპიტალ	4.00%	4.00%
ლია ენუქიძე	2.00%	2.00%
სულ	100%	100%

კომპანია ახდენს მაღალი ხარისხის ხორბლის იმპორტს და იმპორტირებული და ადგილობრივი ნედლეულით აწარმოებს ფქვილს. კომპანიის პროდუქციის რეალიზება ხდება ჰიპერმარკეტებში, რესტორნებსა და საცხოვრებელში. კომპანია ახდენს ფქვილის რეალიზაციას არამარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ჭირნახულის ქ. N4.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2020	31 დეკ 2019
1 USD/GEL	3.2766	2.8677
1 EUR/GEL	4.0233	3.2095

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

რადგან 2020 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის (IASB) ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 20,662,524 ლარი, კომპანიის აკუმულირებული ზარალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 50,520,529 ლარს. ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. რადგან დამფუძნებლები აგრძელებენ კომპანიის ფინანსურ დახმარებას კომპანიისთვის გაწეული სესხების დაფარვის ვადების გახანგრძლივების გზით და სხვა საშუალებებით, იმგვარად, რომ საფრთხე არ შეექმნას კომპანიის ლიკვიდურობასა და მომავალ საოპერაციო საქმიანობას.

ახალი ფას-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2018 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

ახალი სტანდარტები, რომლებმაც გამოიწვია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და რომლის საფუძველზეც მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქვემოთ:

- ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან
- ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია იყენებს ფასს 9-სა და ფასს 15-ს 2018 წლის 1 იანვრის თარიღით. კომპანიამ არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტებზე ფასს 9 და ფასს 15 გადასვლის გამო და შესაბამისად, შესადარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული. აღნიშნული სახით მოცემულ სტანდარტებზე გადასვლა გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტის აღიარებას სტანდარტის პირველადი გამოყენებისას (2018 წლის 1 იანვარი) კაპიტალის საწყის ნაშთში.

კომპანიის შეფასებით ფასს 9 და ფასს 15-ის მიღების გამო სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას არ აქვს არსებითი გავლენა კაპიტალის საწყის ნაშთზე (2018 წლის 1 იანვარი) და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ახალი სტანდარტების დანერგვიდან გამომდინარე კორექტირებებს.

სხვა ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებსა და შესწორებებს, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, რადგან არ არის კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ან არ შეესაბამება კომპანიის მიმდინარე სააღრიცხვო პოლიტიკას.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი

დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვები ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანაშრომლის ჩათვლით), მრჩევის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;

- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;

- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ბასს 16 „ძირითადი საშუალებების“ შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა არ ცვედება.

ცვეთა

პერიოდის ცვეთის ხარჯი ნაწილდება ადმინისტრაციულ ხარჯსა და მარაგს/რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას შორის ძირითადი საშუალების ეკონომიკური ფუნქციის მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა საოპერაციო მოგება/ზარალი.

	სასარგებლო ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობა	25
მანქანა-დანადგარები	5-30
სატრანსპორტო საშუალებები	3-5
ოფისის აღჭურვილობა და კომპიუტერები	3-5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10

არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

კომპანიის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამა. ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (დღეს მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხება იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩება თუ დივიდენდების სახით გაიშვება).

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

მოგების გადასახადის აღიარება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის ფქვილისა და ფქვილის საწარმოებლად საჭირო ნედლეულის მიწოდება. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

ფინანსური და საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

კომპანია როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან

წარმოდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

ფასები თითოეული პროდუქტის მიხედვით ფიქსირებულია და არ მოიცავს რეალიზებულ საქონელზე სარეალიზაციო ფასის გადანაწილებისას შეფასების ელემენტს. როდესაც მომხმარებელი ახდენს ერთზე მეტი სახეობის საქონლის შესყიდვას, კომპანიას შეუძლია მარტივად მოახდინოს სარეალიზაციო ფასების მკვეთრი გამიჯვნა კონტრაქტის ფარგლებში პოდუქციის ცალკე აღებული სარეალიზაციო ფასების მიხედვით.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა ფინანსური ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით. ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაძამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება

კომპანია ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას იმის შესახებ თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები ECL მოდელზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის ანარცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში. ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, ხოლო თუ არ არის გაზრდილი 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, კომპანიას შეუძლია განსაზღვროს რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის პერიოდისათვის. თუმცა, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედება ყოველთვის ვრცელდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ მე-13 შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

სასამართლო დავები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები რომლებიც ძალაშია 2019 და 2021 წლების პირველი იანვრიდან.

კომპანიას ჯერ არ გამოუყენებია ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული ფასს-ები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა

- ფასს 16 - იჯარა;
 - ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები;
 - შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით;
 - ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში
 - ფასს-ების წლიური გაუმჯობესების 2015-2017 წწ. ციკლი1.
 - ფასიკ 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება;
 - ფასს 10 - ცალკეული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (შესწორება).
- ფასს 16 - იჯარა (გამოცემულია 2017 წლის იანვარში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ვრცელდება 2019 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 17 სტანდარტს და მის ინტერპრეტაციებს (SIC-15, SIC-27 და IFRIC 4). სტანდარტში აღწერილია ლიზინგის აღრიცხვის საერთო მოდელი, რომლის მიხედვითაც მეიჯარემ უნდა აღიაროს აქტივი და ვალდებულება ყველა იჯარისთვის, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც საიჯარო ვადა 12 თვეს არ აღემატება ან საიჯარო აქტივის ღირებულება დაბალია. მოიჯარე აგრძელებს აღიარებას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად, ფასს 16-ის შემთხვევაში მიდგომა დიდად არ განსხვავდება წინა მოქმედი სტანდარტის (ბასს 17-ის) მიდგომისგან. მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ კომპანია დაიწყებს ფასს 16 სტანდარტის გამოყენებას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში მაშინ, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ამ სტანდარტის გამოყენებას შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს კომპანიის მიერ აღიარებული შემოსავლების რაოდენობაზე. თუმცა, დეტალური განხილვის ჩატარების გარეშე რთულია აღნიშნული ეფექტის განსაზღვრა.

კომპანიას არ დაუნერგავს ფასს-16.

- IFRS 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (გამოქვეყნდა 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). IFRS 17 წარმოადგენს IFRS 4-ის ჩანაცვლებას, რომელმაც კომპანიები გაათავისუფლა სადაზღვევო ხელშეკრულებების არსებული პრაქტიკის მიხედვით აღრიცხვის გაგრძელების ვალდებულებისგან. ამის შედეგად ინვესტორებს გაუჭირდათ სხვა მხრივ მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური შედეგების ერთმანეთთან შედარება და ერთმანეთისგან განსხვავება. IFRS 17 აგებულია ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულების, მათ შორის მზღვეველის ხელთ არსებული გადაზღვევის ხელშეკრულებების ერთიანი აღრიცხვის პრინციპზე. სტანდარტი მოითხოვს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარებას და შეფასებას: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის მიხედვით კორექტირებული მიმდინარე ღირებულებით (ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები), რომელიც სრულად შეიცავს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების შესახებ ხელმისაწვდომ ინფორმაციას ისე, რომ შესაბამისობაში იყოს საბაზრო ინფორმაციასთან; არის პლუს (თუ მიღებული რიცხვი ვალდებულებას წარმოადგენს) ან ან მინუს ნიშნით (თუ მიღებული რიცხვი აქტივია); (ii) თანხით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულებების ჯგუფზე გამოუმუშავებელ მოგებას (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას აღიარებენ იმ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც მათ გასწიეს სადაზღვევო მომსახურება

და როდესაც ისინი თავისუფლდებიან რისკისგან. თუ ხელშეკრულებების ჯგუფი არის ან გახდება ზარალიანი, ბიზნეს-სუბიექტი დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს. კომპანია სტანდარტის გამოყენებას აპირებს მის მიერ გაცემულ ვალდებულების შესრულების გარანტიებზე და ამჟამად აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს-17 არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, რადგან არ არის დაკავშირებული კომპანიის საქმიანობასთან.

- შესწორება ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით-განმარტავს, რომ იმის დასადგენად, აკმაყოფილებს თუ არა წინასწარი გადახდის მახასიათებელი SPPI პირობას, მხარეს, რომელიც ამ ოფციას გამოიყენებს, შეუძლია სათანადო ანაზღაურება წინასწარ გადაიხადოს ან მიიღოს წინასწარი გადახდის მიზეზის მიუხედავად. სხვა სიტყვებით, წინასწარი გადახდის მახასიათებლებმა უარყოფითი ანაზღაურებით SPPI ტესტი შეიძლება გაიაროს კიდევ
- ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოქვეყნდა 2018 წლის 29 მარტს და ძალაშია 2020 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასებაზე, ინსტრუქციებს ფინანსური შედეგების ანგარიშგებაზე, ტერმინთა გაუმჯობესებულ განმარტებებსა და მითითებებს განსაკუთრებით, ვალდებულებების განსაზღვრებას, ხსნის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა ლიდერობა, პრუდენციული საკითხები და შეფასების განუსაზღვრელობა ფინანსურ ანგარიშგებაში.
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი
 - ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან უნდა იხელმძღვანელოს ეტაპობრივად განხორციელებული გაერთიანების მოთხოვნებით, მათ შორის რეალური ღირებულებით გადააფასოს ერთობლივ საქმიანობაში ადრე ფლობილი წილი. ამ უკანასკნელში უნდა შევიდეს არააღიარებული აქტივები, ვალდებულებები და გუდვილი, რომელიც ერთობლივ საქმიანობასთან არის დაკავშირებული.
 - ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანია მონაწილეობს კომერციულ ერთობლივ საქმიანობაში, მაგრამ არ გააჩნია მასზე ერთობლივი კონტროლი, მოიპოვებს ერთობლივ კონტროლს მასზე, კომპანია არ გადააფასებს ერთობლივ საქმიანობაში მანამდე ფლობილ წილებს.
 - ფასს 12-ის შესწორება განმარტავს, რომ პირმა დივიდენდებზე მოგების გადასახადის შედეგები მოგებაზარალში, სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში უნდა ასახოს იმის მიხედვით, თუ სად მოხდა გასანაწილებელი მოგების მომტანი ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. აღნიშნული ეხება ყველა შემთხვევას, იმის მიუხედავად, განაწილებულ და გაუნაწილებელ მოგებას სხვადასხვა გადასახადის განაკვეთი ერიცხება თუ არა.
 - ფასს 23-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა ნასესხები სახსრების რაიმე ნაწილი, აღებულ სესხებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის დათვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის და გამოიყენება პროსპექტულად. ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

- ფასიკ 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება-გვთავაზობს საბუღალტრო საგადასახადო პოზიციის დადგენის მეთოდს ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება. ინტერპრეტაცია პირებს ავალდებულებს: 1. განსაზღვრონ, არასარწმუნო საგადასახადო პოზიციები ინდივიდუალურად შეაფასონ თუ ჯგუფად; და 2. შეაფასონ, რამდენად სავარაუდოა, რომ საგადასახადო ორგანო მიიღებს

გადასახადის გამოყენებული ან შემოთავაზებული დამუშავების წესს მოგების გადასახადის დეკლარაციაში: - თუ სავარაუდოა, მაშინ პირმა საბუღალტრო საგადასახადო პოზიცია უნდა დაადგინოს გამოყენებულ ან დაგეგმილ დამუშავებასთან თანმიმდევრულად. - თუ არ არის სავარაუდო, მაშინ პირმა არასარწმუნოების ეფექტი უნდა ასახოს საბუღალტრო საგადასახადო პოზიციის დადგენის წესში.

- გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა 2020 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიას ვადაზე ადრე არ დაუნერგავს. „აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის“ - ცვლილებები IFRS 10-სა და IAS 28-ში (გამოქვეყნდა 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება IAS-ის მიერ დადგენილი თარიღით ან ამავე თარიღის შემდგომ). ამ ცვლილებების მიზანია მოაგვაროს შეუსაბამობა IFRS 10-ისა და IAS 28-ის მოთხოვნებს შორის, რომლებიც ეხება აქტივების გაყიდვას ან კაპიტალში შეტანას ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის. ამ ცვლილებების მთავარი ეფექტი ის არის, რომ ხდება სრული შემოსულობის ან ზარალის აღიარება, როცა გარიგება ეხება ბიზნესს. ნაწილობრივი შემოსულობის ან ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც გარიგება ეხება აქტივებს, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს, თუნდაც ამ აქტივებს ფლობდეს შვილობილი კომპანია

შპს „ჯეომილ“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	მანქანა- დანადგარები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ავტომობილები	კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	სულ
ისტორიული ღირებულება							
31.12.2018	2,971,872	4,536,340	25,410,894	105,503	440,272	256,175	33,721,056
შემოსვლა	-	258,614	232,329	-	14,895	25,385	531,223
ჩამოწერა	-	(1,136)	-	-	(2,440)	-	(3,576)
31.12.2019	2,971,872	4,793,818	25,643,223	105,503	452,727	281,560	34,248,703
შემოსვლა	-	1,257,061	327,082	-	7,868	3,292	1,595,304
ჩამოწერა	-	-	(12,034)	-	-	-	(12,034)
31.12.2020	2,971,872	6,050,879	25,958,271	105,503	460,595	284,852	35,831,973
დაგროვილი ცვეთა							
31.12.2018	-	(880,550)	(5,212,320)	(52,732)	(378,063)	(162,373)	(6,686,038)
ცვეთა	-	(238,263)	(674,609)	-	(26,232)	(39,692)	(978,796)
გასვლა	-	-	-	-	2,440	-	2,440
31.12.2019	-	(1,118,813)	(5,886,929)	(52,732)	(401,855)	(202,065)	(7,662,394)
ცვეთა	-	(266,792)	(523,715)	-	(12,594)	(11,154)	(814,254)
გასვლა	-	-	3,337	-	-	-	3,337
31.12.2020	-	(1,385,605)	(6,407,307)	(52,732)	(414,449)	(213,219)	(8,473,311)
საბალანსო ღირებულება							
31.12.2018	2,971,872	3,655,790	20,198,574	52,771	62,209	93,802	27,035,018
31.12.2019	2,971,872	3,675,005	19,756,294	52,771	50,872	79,495	26,586,309
31.12.2020	2,971,872	4,665,275	19,550,964	52,771	46,146	71,634	27,358,661

6. მარაგები

	31.12.2020	31.12.2019
მზა პროდუქცია*	8,117,788	11,640,855
დაუმთავრებელი წარმოება	798,734	939,906
ნედლეული	509,389	729,892
სხვა	13,510	12,472
სულ	9,439,421	13,323,125

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური მოთხოვნები:		
სავაჭრო მოთხოვნები	11,375,364	10,338,333
საექვო მოთხოვნების ანარიცხები	(3,259,346)	(3,313,560)
ფინანსური მოთხოვნები, სულ	8,116,018	7,024,773
არაფინანსური მოთხოვნები:		
გადახდილი ავანსები	4,739,990	-
სხვა მოთხოვნები	8,578	8,575
არაფინანსური მოთხოვნები, სულ	4,748,568	8,575
სულ	12,864,586	7,033,348

კომპანიის ხელმძღვანელობა ახდენს მოთხოვნების საკრედიტო რისკის ანალიზს, რომელიც პერიოდულად გადაიხედება. კომპანია 2018 წლის 1 იანვრის შემდგომ ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

კომპანია აკეთებს სპეციფიკურ ანალიზს თითოეული მოთხოვნის დაფარვიანობაზე, მოთხოვნის ხანდაზმულობის, მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის, დაფარვიანობის ისტორიის და სხვა ცნობილი ინფორმაციის მიხედვით. კომპანია ქმნის ანარიცხებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურად შეფასებულია, როგორც საექვო. კომპანია ასევე ახდენს რეგიონული და გლობალური ეკონომიკური გარემოებების და მათი საპროგნოზო მაჩვენებლების მონიტორინგს და იყენებს მოსალოდნელ მომავალ ინფორმაციას შემქნილი ანარიცხების შემდგომ შეფასებასთან დაკავშირებით.

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2020	31.12.2019
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,390,493	540,105
ნაღდი ფული სალაროში	368,609	38,007
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	4,005	1,561
სულ	1,763,107	579,673

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

ფული და ფულის ექვივალენტები არ არის გაუფასურებული და ვადაგადაცილებული.

9. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 3,335,784 ლარს როგორც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2020 წელს ცვლილებები საწესდებო კაპიტალში არ განხორციელებულა.

10. სხვა რეზერვი

სხვა რეზერვები ჯამური ღირებულებით 9,098,153 ლარი წარმოადგენს დაკავშირებული მხარეებისგან შეღავათიანი პირობებით მიღებული სესხების რეალური ღირებულებით საწყისი აღიარების ეფექტს.

11. მიღებული სესხები

მოკლევადიანი სესხები	31.12.2020	31.12.2019
JSC Bom Terrano	436,806	451,138
Parin Rajanikant Kapasi, India	53,678	39,346
	490,484	490,484
გრძელვადიანი სესხები		
H-SAK LIMITED	22,467,100	17,707,126
Galmington Holdings Limited	44,994,751	29,378,741
JSC Bom Terrano	10,307,773	12,935,854
BTC WORLDWIDES F.Z.C	10,362	3,239,472
Bank of Georgia	8,269,958	-
	86,049,943	63,261,193
სულ მიღებული სესხები	86,540,427	63,751,677

12. საგადასახადო ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2019
საშემოსავლო გადასახადი	-	286,590
დღგ	575,938	(388,234)
ქონების გადასახადი	1,104,765	1,226,164
მიწის გადასახადი	52,694	106,022
სულ	1,733,397	1,230,542

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, 2016 წლის 1 იანვრიდან კომპანიები სხვადასხვა გადასახადებს იხდიან ურთიერთგადახურვის საფუძველზე. შესაბამისად, 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვადასხვა გადასახადებით წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულებები/აქტივების ნაშთები წარდგენილია ურთიერთგადახურვით.

13. შემოსავალი

	2020	2019
ფქვილის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	29,383,200	44,866,175
ქატოს რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	4,571,500	6,564,559
სხვა შემოსავალი	1,017,629	1,180,407
სულ	34,972,329	52,611,141

ხელშეკრულება და სახელშეკრულებო ვალდებულებები

კომპანიის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის დროს, არის შემთხვევები, როდესაც შემოსავლის აღიარებასა და ანაზღაურების გადახდას შორის არის დროითი სხვაობა.

თუ მომხმარებელი ანაზღაურებას იხდის, ან საწარმოს უპირობო უფლება გააჩნია ანაზღაურების თანხაზე (ე.ი. წარმოადგენს მოთხოვნას) მანამ, სანამ საწარმო საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებელს, საწარმო ხელშეკრულებას წარადგენს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება, როდესაც გადახდა განხორციელდება, ან ანაზღაურების თანხის გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება ამ მოვლენებიდან).

სახელშეკრულებო ვალდებულება არის საწარმოს ვალდებულება, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც საწარმომ მომხმარებლისგან მიიღო ანაზღაურება (ან რომლის ანაზღაურების გადახდის ვადა დამდგარია).

კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ აქვს სახელშეკრულებო აქტივები. სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოდგენილია „სავაჭრო და სხვა ვალდებულებების“ მუხლში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2020	2019
ნედლეული	29,747,182	48,417,738
ხელფასი	996,086	992,439
ცვეთა და ამორტიზაცია	538,502	713,008
ელექტრო ენერგიის ხარჯი	556,214	837,625
სხვა დანახარჯები	167,699	314,405
სულ	32,005,683	51,275,215

15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ცვეთის ხარჯი	285,072	271,328
შრომის ანაზღაურება	575,051	510,760

საგადასახადო ხარჯები, მოგების გადასახადის გარდა	30,866	113,711
საკონსულტაციო ხარჯები	227,773	151,748
დაცვის ხარჯი	101,946	96,346
რემონტისა და შენახვის ხარჯები	-	-
საწვავის ხარჯი	21,341	27,614
კომუნალური ხარჯი	19,788	21,346
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	159,771	111,789
სულ	1,421,607	1,304,642

16. ფინანსური ხარჯი

სხვა ფინანსური ხარჯი	2020	2019
საპროცენტო ხარჯი	4,721,703	3,642,588
სულ	4,721,703	3,642,588

17. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა

	2020	2019
დადებითი საკურსო სხვაობები	11,060,279	4,402,481
უარყოფითი საკურსო სხვაობები	(27,880,611)	(8,082,582)
სულ	(16,820,332)	(3,680,101)

18. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო

კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

19. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

შპს „ჯეომილ“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში

2020	აშშ დოლარი	ევრო	ლარში	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	12,864,586	12,864,586
ფული და ფულის ექვივალენტები	4,005	-	1,759,102	1,763,107
გაცემული სესხები	-	-	360,801	360,801
სულ ფინანსური აქტივები	4,005	-	14,984,489	14,988,494
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	55,803,370	30,737,057	-	86,540,427
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	1,663,864	1,663,864
სულ ფინანსური ვალდებულებები	55,803,370	30,737,057	1,663,864	88,204,291
წმინდა პოზიცია	(55,799,365)	(30,737,057)	13,320,625	(73,215,798)
2019	აშშ დოლარი	ევრო	ლარში	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	7,033,348	7,033,348
ფული და ფულის ექვივალენტები	1,561	-	478,112	579,673
გაცემული სესხები	-	-	177,201	177,201
სულ ფინანსური აქტივები	1,561	-	7,788,661	7,790,222
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	46,044,551	17,707,126	-	63,751,677
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	149,437	149,437
სულ ფინანსური ვალდებულებები	46,044,551	17,707,126	149,437	
წმინდა პოზიცია	(46,042,990)	(17,707,126)	7,639,224	(56,110,892)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

2020	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,663,864	-	-	1,663,864
მიღებული სესხები	490,483	86,049,943	-	86,540,427
ფინანსური ვალდებულებები, სულ	2,154,348	86,049,943	-	88,204,291
2019	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	149,437	-	-	149,437
მიღებული სესხები	490,483	62,770,709	-	63,261,192
ფინანსური ვალდებულებები, სულ	639,920	62,770,709	-	63,410,629

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით.

20. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	საბალანსო ღირებულება	31-დეკ-2020 საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	31-დეკ-2019 სამართლიანი ღირებულება
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12,864,586	12,864,586	7,033,348	7,033,348
ფული და ფულის ექვივალენტები	1,763,107	1,763,107	579,673	579,673
გაცემული სესხები	360,801	360,801	177,201	177,201
მიღებული სესხები	86,540,427	86,540,427	63,751,677	63,751,677
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,663,864	1,663,864	149,437	149,437

21. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

	31.12.2020	31.12.2019
გაცემული სესხები		
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	29,168	29 168
დამფუძნებელი	164,133	148 034
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	56,408	1 188 338
მიღებული სესხები		
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	33,222,040	34 333 590
დამფუძნებელი	45,048,429	29 418 087
შემოსავალი		
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	6,324,697	4 516 386
დამფუძნებელი	-	-
ფინანსური ხარჯები, წმინდა		
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	1,893,835	1 229 988
დამფუძნებელი	1,513,680	336 841
უმაღლეს ხელმძღვანელ პირთა ანაზღაურება	(237,972)	(128 860)

22. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულებები

კომპანიას აქვს განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განმარტებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით ხასიათდება, რაც ხანდახან საკმარისად ნათელი არ არის და სხვადასხვა განმარტებებს ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია რაიმე ვალდებულების დაკისრება დამატებითი გადასახადების, ჯარიმის ან პირგასამტეხლოს გადასახდელად, თუ იმ წლის დასასრულიდან, როდესაც დარღვევა მოხდა, ექვსი წელია გასული. ასეთი გარემოებები, რომლებსაც საქართველოში საგადასახადო რისკებისკენ მივყავართ, არის უფრო მაღალი, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ყველა შესაძლო საგადასახადო პირობითი ვალდებულება ინახება და აღინუსხება კომპანიის მიერ სათანადოდ. კომპანია ექვემდებარება სამართლებრივ სარჩელებს და საჩივრებს.

23. საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვნით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 20,662,524 ლარი, კომპანიის აკუმულირებული ზარალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 50,520,529 ლარს. ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. რადგან დამფუძნებლები აგრძელებენ კომპანიის ფინანსურ დახმარებას კომპანიისთვის გაწეული სესხების დაფარვის ვადების გახანგრძლივების გზით და სხვა საშუალებებით, იმგვარად, რომ საფრთხე არ შეექმნას კომპანიის ლიკვიდურობასა და მომავალ საოპერაციო საქმიანობას.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 22 სექტემბერი. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

შპს ჯეომილ

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს ჯეომილ

მმართველობის ანგარიშგება მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ჩვენი ვალდებულებაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან და ამავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან შესაბამისობის თაობაზე.

აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით ჩვენ განვსაზღვრავთ არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მივუთითებთ მათ არსს.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება მოქმედ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. მმართველობით ანგარიშგებაში მოცემული რიცხვითი ინფორმაცია სრულად შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენმა კომპანიამ ჩაატარა შპს ჯეომილის თანმხლები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. შპს ჯეომილის მენეჯმენტი სრულად პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად.

სს „ფი ქეი ეფ კაიზენმა“ ჩაატარა შემოწმება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნული კანონის შესაბამისად საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა და შესრულება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებას, აუდიტის შედეგებს, მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა და რისკებს.

PKF KAIZEN JSC

PKF

ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

დავით გვეტაძე



სს „ფი ქეი ეფ კაიზენი“

30 სექტემბერი, 2021 წელი



მმართველობის ანგარიშგება

შპს ჯეომილ

2020

შინაარსი:

1. შპს ჯეომილის საქმიანობის მიმოხილვა - განვითარება, შედეგები და მდგომარეობა	2
კომპანიის შესახებ	2
კომპანიის საქმიანობა	2
2. არაფინანსური მაჩვენებლები	3
თანამშრომლები და შრომის უსაფრთხოება.....	3
3. საკუთარი აქციების გამოსყიდვა	4
4. კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები.....	5
5. ფინანსური მაჩვენებლები.....	5
6. რისკები და მართვა	8
7. განვითარების გეგმები	9

1. შპს ჯეომილის საქმიანობის მიმოხილვა - განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

კომპანიის შესახებ

შპს ჯეომილ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს. კომპანია საქმიანობას ეწევა “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის, საქართველოში მოქმედი სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტებისა და წესების შესაბამისად. დაფუძნდა 2010 წლის 20 აგვისტოს. კომპანია არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება რომელიც საქმიანობას ახორციელებს თბილისში, ჭირნახულის ქ.#4.

კომპანიის უმაღლესი მმართველობის ორგანოა პარტნიორთა კრება. ყოველდღიურ მართვას ახორციელებს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული დირექტორი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის პარტნიორები არიან:

გალმინგტონ ჰოლდინგს ლიმიტედი (ს.ნ. 1768850, ვირჯ. კუნძ.) – 63%;

სააქციო საზოგადოება ლგბ კომპანი (ს.ნ.404472548) – 6%;

სააქციო საზოგადოება პონტო კაპიტალ (ს.ნ.404471969) – 4%;

ლია ენუქიძე (პ.ნ. 01009007658) – 2%

პარინ რაჯანიკანტ კაპასი (პ.ნ. Z2151254, 01397001679 ინდოეთი) – 25%

კომპანიის დირექტორი - ბესიკ ბეჟაშვილი.

კომპანიის საქმიანობა

კომპანია ჯეომილმა საქმიანობა დაიწყო 2014 წელს. მის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს იმპორტირებული და ადგილობრივი მარცვლეულის გადამუშავება სხვადასხვა სახეობის ფქვილის პროდუქტად და შემდგომში მისი რეალიზაცია. კომპანია ჯეომილის საწარმო უზრუნველყოფს მარცვლეულის შენახვა/გადამუშავების სრულ ციკლს, გააჩნია საკუთარი სილოსები, ელევატორები და საფქვავის თანამედროვე აგრეგატები, რომლებიც აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ნედლეულის შეძენა/იმპორტი ხდება ძირითადად რუსეთიდან. ასევე კომპანია ყიდულობს საქართველოში მოყვანილ მაღალი ხარისხის ხორბალსაც. კომპანიამ საბითუმო გაყიდვები დაიწყო სავაჭრო ნიშნით „მადლი“, ხოლო 2015 წელს გამოუშვა საცალო მიმართულებისთვის „La familia“. ჯეომილის პროდუქცია იყიდება მთელი საქართველოს მასშტაბით, მისი მომხმარებლები არიან მცირე, საშუალო და დიდი ჰიპერმარკეტები, მსხვილი პურისსაცხობი ქარხნები, სასტუმროები, რესტორნები და მცირე საცხობები.

კომპანია აღჭურვილია თანამედროვე გერმანულ-შვეიცარული კომპანია Buhler-ის და Fawema-ს დანადგარებით. კომპანიის საკუთრებაში არსებულ „Buhler“-ის წისქვილს (წარმადობა: 350-360 ტონა/24საათში) გააჩნია კონკურენტული უპირატესობა წარმოების ყველა ეტაპზე, ბაზარზე არსებულ სხვა კონკურენტებთან მიმართებაში, თავისი სრულად ავტომატიზირებული და თანამედროვე ტექნოლოგიიდან გამომდინარე, ადამიანური რესურსების მინიმალური ოდენობა, მაღალი გამოსავლიანობა, გამძლეობაში, დენის და წყლის ეკონომიურ მოხმარებაში. Buhler -ის ტექნოლოგიის წისქვილის მეშვეობით, კომპანია კონკურენტებთან შედარებით, პროდუქციას ბევრად უკეთეს და სტაბილურ ხარისხს სთავაზობს ბაზარს. კომპანიის გააჩნია საკუთარი ხარისხის ლაბორატორია, რომელიც მთლიანად ევროპული დანადგარებითაა აღჭურვილი.

2017 წლის სექტემბრიდან წარმადობის გაზრდის მიზნით და ბაზრის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ახალი მეორე ხაზი გაეშვა წარმოებაში - რამაც 120 ტონა/24 საათში წარმადობის ზრდა გახდა შესაძლებელი. ჯამში ორივე წისქვილის ერთად წარმადობამ დღე/ღამეში - 470-480 ტონას მიაღწია.

2018 წელს კიდევ დაამატა ორი მცირე ზომის ქვის წისქვილი, რომელიც კომპანიას საშუალებას აძლევს აწარმოოს ცეხვილი ფქვილი და შესაბამისად გამოუშვა ახალი პროდუქტი ცეხვილის ფქვილი. ამასთან ხარისხის ლაბორატორიაში დაამატა ახალი ალვეოგრაფის დანადგარი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღებას ფქვილის ცხობის უნარიანობის შესახებ, რაც მნიშვნელოვანია დღევანდელ ბაზარზე მომხმარებლებისთვის საბოლოო პროდუქტის ხარისხის წინასწარი განსაზღვრისთვის.

2019 წელს კომპანიამ დაამატა 10,000 ტონა ხორბლის შემნახველი სილოსები რამაც მისი ჯამური ხორბლის შენახვის მოცულობა 34,000 ტონამდე გაზარდა. 2019 წელს კომპანიამ ასევე მოიპოვა საბაჟო საწყობის ლიცენზია, რაც მას საშუალებას აძლევს შემოტანილი ხორბალი მომენტალურად არ განაბაჟოს და შეინახოს საბაჟო ტერმინალში.

2020 წელს კომპანიამ კიდევ დაამატა ხორბლის შესანახი სილოსები, რამაც საშუალება მისცა კომპანიას ჯამში 20,000 ტონით გაეზარდა ნედლეულის შენახვის მოცულობა, ჯამში 2020 წელს კომპანიას შეუძლია 54,000 ტონა ხორბლის შენახვა/დასაწყობება. სილოსების დამატება კომპანიას აძლევს საშუალებას, რომ ხორბლის მოსავლის აღების პერიოდში, როდესაც ხორბლის ფასი არის ყველაზე მინიმალური, შეიძინოს მისი წარმოებისთვის აუცილებელი მინიმუმ 6 თვის მარაგი ყველაზე დაბალ ფასში, რათა შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანი ფასი.

2. არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები და შრომის უსაფრთხოება

კომპანია უზრუნველყოფს სტაბილურ სამუშაო გარემოს მისი თანამშრომლებისთვის. საშუალოდ დასაქმებულთა რიცხვი შეადგენს 100-110 ადამიანს. აღსანიშნავია, რომ კომპანიამ 2020 წელს COVID-19 პანდემიით გამოწვეული შემოსავლების შემცირების მიუხედავად, არ შეამცირა თანამშრომელთა რაოდენობა და შეინარჩუნა იგივე დონეზე.

კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კადრების განათლების ხარისხს, გამოცდილებას და კომპეტენტურობას. თანამშრომლების კვალიფიციურობა კომპანიას ეხმარება ნაკლები დანახარჯი ქონდეს საწარმოო პროცესში, ასევე მომხმარებლებთან ურთიერთობის სწორად წარმართვასა და ზოგადად კომპანიის გამართულ ფუნქციონირებაში, რისთვისაც კომპანიის თანამშრომლებს მუდმივად უტარდებათ სხვადასხვა ტრეინინგები. უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია 2020 წელს სახელმწიფოს მიერ, COVID-19-თან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციებს სამუშაო გარემოსთან მიმართებაში, სრულიად იცავდა და ზრუნავდა თანამშრომელთა უსაფრთხო გარემოზე.

კომპანიის საწარმო სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შრომის უსაფრთხოების სტანდარტებს. კომპანიაში 2017 წლიდან დანერგილია სურსათის უვნებლობის მართვის და კონტროლის სისტემა ISO 22000 – 2005 და ლაბორატორიაში ხარისხის მენეჯმენტის სისტემა ISO 17025-2017. 2020 წელს დამატებით მოხდა FSSC 22000 სერთიფიკაცია. კომპანიის ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე ცნობილი ევროპული ტექნიკით-ხელსაწყოებით, როგორებიც არიან: CHOPIN TECHNOLOGIES; Perten Instruments და ა.შ.

გარემოს დაცვა

კომპანია მუდმივად იცავს სანიტარულ ჰიგიენურ-ნორმებს საწარმოო ობიექტზე, ნედლეულის და მზა პროდუქციის შენახვის პირობებს, საცალო სარეალიზაციო პროდუქცია სრულად წარმოდგენილია ქაღალდის შესაფუთი მასალით, ამასთან კომპანია სამომავლოდ გეგმავს საბითუმო სარეალიზაციო პროდუქციის შესაფუთი მასალაც იყოს სპეციალური ქაღალდის ტომრები, ამით კომპანია თითქმის სრულად ჩაანაცვლებს პოლიპროპილენის ტომრებს ქაღალდით. უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს გააჩნია ფილტრაციის მაღალის ხარისხის სისტემები და შესაბამისად გარემოს დაბინძურების ზღვარი არის მინიმალური - კანონით გათვალისწინებულ ნორმების ფარგლებში.

3. საკუთარი აქციების გამოსყიდვა

კომპანიას 2020 წლის განმავლობაში არ გამოუსყიდია საკუთარი აქციები და არც მიმდინარე ეტაპზე გეგმავს ამას.




4. კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2020 წელს კომპანიამ მიიღო Food Safety System Certification 22000 სერთიფიკატი, რომელსაც აქვს საერთაშორისო დონის აღიარება. FSSC 22000 სქემა წარმოადგენს სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემის სერთიფიკაციის სრულყოფილ სქემას. იგი დაფუძნებულია ISO 22000 სტანდარტზე, რომელიც წარმოადგენს სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემის გლობალურ სტანდარტს და ISO/TS 22002 სტანდარტზე, რომელიც ადგენს სპეციფიკურ მოთხოვნებს წინასწარი მოსამზადებელი პროგრამების მიმართ. აღნიშნული სერთიფიკატის მიღება ადასტურებს შედეგიანი სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემის არსებობას კომპანიაში და სურსათის უვნებლობის სტანდარტების მაღალ გამჭვირვალობას მთლიანად სასურსათო ჯაჭვში.

5. ფინანსური მაჩვენებლები

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებს IFRS სტანდარტების მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:



შპს "ჯეომილ"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნები	12/31/2020	12/31/2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	27,358,661	26,586,309
არამატერიალური აქტივები		64,519	7,932
სულ გრძელვადიანი აქტივები		27,423,180	26,594,241
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	9,439,421	13,323,125
გაცემული სესხები		360,801	177,201
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	12,864,586	7,033,348
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	1,763,107	579,673
სულ მიმდინარე აქტივები		24,427,915	21,113,347
სულ აქტივები		51,851,095	47,707,588
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	3,335,784	3,335,784
სხვა რეზერვი	10	9,098,153	9,098,153
დაგროვილი ზარალი		(50,520,529)	(29,858,005)
სულ საკუთარი კაპიტალი		(38,086,592)	(17,424,068)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი მიღებული სესხები	11	86,049,943	63,261,193
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		86,049,943	63,261,193
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,663,864	149,437
საგადასახადო ვალდებულებები	12	1,733,396	1,230,542
მოკლევადიანი მიღებული სესხები	11	490,484	490,484
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,887,744	1,870,463
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		51,851,095	47,707,588

შპს "ჯეომილ"

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნები	2020	2019
შემოსავალი	13	34,972,329	52,611,141
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(32,005,683)	(51,275,215)
სრული მოგება		2,966,647	1,335,926
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები		(689,063)	(479,993)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,421,607)	(1,304,642)
სხვა ხარჯები, წმინდა	16	23,533	(3,008,969)
საოპერაციო ზარალი		879,510	(3,457,678)
ფინანსური ხარჯები	17	(4,721,703)	(3,642,588)
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან, წმინდა	18	(16,820,332)	(3,680,101)
ზარალი დაბეგვრამდე		(20,662,524)	(10,780,367)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული ზარალი		(20,662,524)	(10,780,367)

2020 წელს COVID-19-ის პანდემიას მნიშვნელოვანი გავლენა ქონდა ქვეყნის მთლიან ბიზნეს გარემოზე და მათ შორის კომპანია ჯეომილზეც. 2020 წლის 1 კვარტლის ბოლოს, პანდემიის დაწყებისთანავე გაიზარდა გაყიდვები, მოსახლეობამ დაიწყო პროდუქციის ზომაზე მეტად მომარაგება. თუმცა უკვე 2020 წლის აპრილის მეორე ნახევრიდან დაიწყო გაყიდვების მნიშვნელოვნად კლება. პანდემიის გამო, დაწესებულმა შეზღუდვებმა გავლენა მოახდინა უმეტესად HORECA სექტორზე, რომელიც კომპანია ჯეომილის მაღალხარისხიანი პროდუქციის მსხვილი შემსყიდველია. მოთხოვნის კლების შესაბამისად, 2019 წელთან შედარებით 2020 წელს კომპანიის წლიური ბრუნვა შემცირებულია დაახლოებით 34%-ით. რაც შეხება ძირითადი კატეგორიების მიხედვით გაყიდვებს - ფქვილს და ქატოს, გაყიდვები შემცირდა 35% და 30 %-ით, თუმცა საგრძნობლად გაიზარდა საერთო მოგება და საერთო მოგების მარჟა - რაც გამოწვეულია ნედლეულის შესყიდვის და მართვის სწორი სტრატეგიით. 2020 წელს კომპანიის განვითარების სტრატეგიაში უმთავრესი პრიორიტეტი იყო ნედლეულის მარაგის სწორად შეძენა და მართვა. ამისათვის დაგეგმა და შეიძინა ხორბალი, მაშინ როცა მისი ფასი იყო დაბალი (მოსავლის აღების დასრულებისთანავე), ამან საშუალება მისცა კომპანიას შეენარჩუნებინა კონკურენტული სარეალიზაციო ფასი და მარჟა გაიზარდა, საბოლოოდ ეს ფინანსურ მაჩვენებლებზე დადებითად აისახა - საოპერაციო მოგების მაჩვენებლი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა 2019 წელთან შედარებით, 2019 წელს თუ საოპერაციო ზარალი იყო 3,5მლნ ლარამდე, 2020 წელს 0,9 მლნ ლარამდე მოგებაა დაფიქსირებული, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სავალუტო რყევებით გამოწვეული გადაფასებით მიღებული ზარალი 2020 წელს საკმაოდ გაზრდილია, რაც საბოლოო წმინდა მოგების მაჩვენებელში უარყოფითად აისახება.

2020 წელს მკვეთრად გაუმჯობესდა ფულადი ნაკადების მაჩვენებელი საოპერაციო საქმიანობიდან და არის დადებითი 9 მლნ ლარი, რაც უმეტესად მოხმარდა კომპანიაში ახალი ნედლეულის შესანახი სილოსების შეძენას.

მიუხედავად უარყოფითი ფინანსური შედეგებისა, კომპანია სტაბილურად აგრძელებს ფუნქციონირებას და არ იქმნება საფრთხე მისი საქმიანობის განგრძობითობის, ვინაიდან აკუმულირებული ზარალის დაფინანსებას ახდენენ კომპანიის დამფუძნებლები ახალი ფულადი სახსრების გამოყოფით.

6. რისკები და მართვა

ხელმძღვანელობა სრულად პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის ჩამოყალიბებასა და მის მართვაზე, რაც გულისხმობს რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზს, კონტროლის უზრუნველყოფას და მონიტორინგს. საბაზრო პირობების ცვლილებისას ან/და კომპანიის შიდა ცვლილებების ასახვისას რისკების მართვის სისტემა რეგულარულად განიხილება და ტრენინგებისა და პროცედურების საშუალებით აყალიბებს დისციპლინირებულ და კონსტრუქციულ გარემოს, სადაც ყველა თანამშრომელს გათვითცნობიერებული აქვს მისი როლი და ვალდებულება.

კომპანია საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე ეწევა, შესაბამისად ქვეყანაში მოქმედი შიდა პოლიტიკური თუ სოციალური ფაქტორები აისახება კომპანიის მუშაობასა და განვითარებაზე.

კომპანიის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, საკანონმდებლო მოთხოვნებთან შეუსაბამობის რისკების აცილების გამო კომპანიას დაქირავებული ჰყავს როგორც შიდა სპეციალისტები, ისე სპეციალიზირებული კომპანიები რომლებიც უზრუნველყოფენ იურიდიულ და საგადასახდო საკონსულტაციო მომსახურებას.

კომპანიის საქმიანობის შეფერხება შესაძლოა გამოიწვიოს კიბერშეტევებამაც. შესაბამისად კიბერუსაფრთხოების დაცვის მიზნით კომპანიას მომსახურებას უწევენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც ახორციელებენ მუდმივ მონიტორინგს, რათა არ მოხდეს კიბერშეტევებით კომპანიის საქმიანობის რაიმე ფორმით შეფერხება.

კომპანია მრავალი წელია თანამშრომლობს საქართველოში მოქმედ მსხვილ საბანკო ინსტიტუტებთან, როგორც საკრედიტო, ისე ფულადი სახსრების მოძრაობის კუთხით. სასესხო ვალდებულებების შეუსრულებლობისას რისკი დაზღვეულია ფულის ან სხვა აქტივის მიწოდებით, რითაც კომპანია უზრუნველყოფს მისი ლიკვიდურობის შენარჩუნებას. თუმცა აღსანიშნავია რომ მისი არსებობის მანძილზე არ ქონია მსგავსი შემთხვევები და აქვს პოზიტიური საკრედიტო ისტორია.

კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია. სავაჭრო მოთხოვნების მუდმივი კონტროლი კომპანიას ეხმარება დროულად მიიღოს ფულადი ნაკადები, ამცირებს მაღალრისკიანი მომხმარებლების არსებობის რისკს და შესაბამისად ხდება კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას.

2020 წელს - COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მსოფლიო ბიზნეს გარემოს და მათ შორის საქართველოსაც. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგოდ დაწესებულმა შეზღუდვებმა გარკვეული გავლენა მოახდინა როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე, ისე კომპანიის საქმიანობაზეც. მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ კომპანიის ბიზნეს სპეციფიკიდან გამომდინარე, მკვეთრ ცვლილებებს პანდემიის გამო აღარ ელოდება. ამასთან 2021 წელს კომპანიის მთავარი საკადრო პოლიტიკაა მისი თანამშრომლების უმეტესი ნაწილი იყოს სრულად ვაქცინირებული და სამუშაო გარემო იყოს უსაფრთხო.

7. განვითარების გეგმები

კომპანია ორიენტირებულია ინოვაციურ გადაწყვეტებზე და თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებულ საწარმოო ციკლზე. განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია პროდუქციის ხარისხის მუდმივი კონტროლი, შენარჩუნება და ზრდა. ამ მიმართულებით გეგმავს ხარისხის ლაბორატორიის კიდევ უფრო გაუმჯობესებას და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვას. ასევე პროდუქციის შესაფუთი მასალის ცვლილებას ეკომეგობრული ქაღალდის მასალით, რომელიც არ აზიანებს გარემოს.

კომპანიის განვითარების სტრატეგიაში უმთავრესი პრიორიტეტია ნედლეულის მარაგის სწორად შეძენა და მართვა. 2020 წელს გატარებულმა სტრატეგიამ - შეიძინოს ხორბალი, მაშინ როცა მისი ფასი არის დაბალი (მოსავლის აღების დასრულებისთანავე) - დადებითი ეფექტი აჩვენა კომპანიის მომგებიანობაზე, ამიტომ 2021 წელსაც იგივე სტრატეგიით აგრძელებს მუშაობას. ეს საშუალებას მისცემს შეინარჩუნოს კონკურენტული სარეალიზაციო ფასი და შესაბამისად ნაკლებად იყოს დამოკიდებული სავალუტო კურსის რყევებზე, ეს ყველაფერი კი საბოლოოდ ფინანსურ მაჩვენებლებზე დადებითად აისახება და კომპანიას დაეხმარება გააუმჯობესოს არსებული ფინანსური შედეგები და გაზარდოს ბაზრის წილი.

2021 წელს კომპანიის განვითარება დაგეგმილი სტრატეგიისა და მიზნის შესაბამისად ხორციელდება. კომპანია ზრუნავს ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიებაზე.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბერს კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ:

ბესიკ ბეჟაშვილი

შპს „ჯეომილ“

დირექტორი

